საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბღერისწყალი

ბღერისწყალი**,** კარსტული მღვიმე წყალტუბოს ზონაში, სოფ. ყუმისთავის აღმ-ით 5 *კმ*, 390 *მ* სიმაღლეზე. გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. შესასვლელი ვიწრო ხვრელით უკავშირდება ვრცელ დარბაზებს. დაღმავალია ფსკერის ფართ. დაახლ. 15 ათ. *მ*^{2}. მაქს. სიმაღლე 40 *მ*, მაქს. სიგანე 30 *მ*, ჯამური სიგრძე 1700 *მ*. ჰაერის ტემპ-რა 13°C. განშტოებებში ქიმ. ნაღვენთებია, ხოლო დარბაზების ფსკერზე – გრანდიოზული ნაზვავი. დადასტურებულია ჰიდროლ. კავშირი წყალტუბოს მღვიმესთან.

ვ. ჯიშკარიანი